ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2492 სამშაბათი, 11 მაისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2492

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ქართული თეატრი

კვირას, 16 მაისს, 1904 წ. დრამატიულ საზოგადოების დასის არტისტის ვ. გუნიას მიერ სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იქნება თავ. ა. სუმბათაშვილის ხუთ მოქმედებიანი დრამა-ლეგენდა

„ლალატი“

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ე. რომანიშვილი, ნ. თარხან-მოურავი, ს. ლომაურისა, ნ. კუმსიშვილი, ა. ივანიშვილი; ბ-ნი ა. ყანჩელი, ი. ზურაბიშვილი, ლეხურელი, ხურვალელი, გ. ანანიაშვილი, კ. ხახანაშვილი, კახელი, ადამიძე, ლ. მგალობლიშვილი, ი. ზედგინიძე, ალ. ივანიშვილი, ა. ლორთქიფანიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ✦ დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

(7—3) რეჟისორი ნ. ი. ალექსი-მესხიშვილი.

კაპიტანი იასონ კონსტანტინეს ძე თავ. აბაშიძე

უეცრად გარდაიცვალა ქალაქ ართვინში, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე, შვილები, ძმები და დები და სთხოვენ მათ მობრძანდნენ გარდაცვალებულის გამოსვენებაზე ხუთშაბათს, 13 მაისს, საღამოს 5 საათზე, საკუთარ სახლიდან ქუთაისში. (კლ. 2—1)

აზნაურნი: მელანია ივანეს ასული, ექვთიმე საჩინოს ძე და კაპიტანი ალექსანდრე ლუარსაბის ძე კვიკვიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელი ქმრისა, მეორე—ძმისა და მესამე—ბიძის

აზ. სვიმონ საჩინოს ძის კვიკვიძისას.

პანაშვიდი გარდახდილ იქნება ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე. გარდაცვალებულს გაასვენებენ 13 მაისს, დილის 9 საათზე, საკუთარ სახლიდან (ვეძინის ქუჩა № 5), კალოუბნის ეკლესიაში. დაკრძალულ იქმნება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—197—1)

ფოთის საქალებო სამ-კლასიან პროგიმნაზიაში

მისაღები გამოცდა დანიშნულია მაისის 19—25 რიცხვებში. თხოვნასთან უნდა იქნეს მეტრიკული მოწმობა დაბადებისა და მონათვლისა. (ნ. 10—10)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალაჯრიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12. საათ.

არ. ვ. ხოზბოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ბ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. ხოზბოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაკტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე
მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. [illegible]თის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი
მიიღებს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე დილით 10—12 ს. მიხეილის პროსპექტი ს. № 115 ნემცების კირკის გვერდზე. (30—178—8)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 88).
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
(კანისა და ვენერიული)
დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თე.—0—81)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში
კბილის ექიმი
დავით ს. რიჟინაშვილი
იღებს დილით 9—2 საათ. საღამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. (30—253—28)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 მაისი

პარიზი. იაპონიიდან გაგზავნილი ახალი კორპუსი გადავიდა ნაპირზე დაგუშანთან. ზარალი არაფერი მოსვლია. ამ კორპუსმა უნდა დაიჭიროს იაპონელთა იმ ჯარის ადგილი, რომელიც ჩრდილოეთისკენ მიდის.

სახალინი. სახალინზე სიწყნარეა. იაპონელები, რომელთაც ზამთარი აქ გაატარეს, წავიდნენ: 700 კაცი ნავებით და 300 ინგლისურ გემით. კორსაკოვის ოლქში დაატყვევეს მეთევზეთა გემი 70 იაპონელით.

10 მაისი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მისს უდიდებულესობის სახელზე გამოგზავნილი 1904 წელს 9 მაისს: „9 მაისს, წმ. ნიკოლოოზ სასწაულთ-მოქმედის დღეს, გადახდილ იქმნა პარაკლისი მთელის ჯარის წინაშე. ეს ჯარი შეადგენს ერთის რაზმის მთავარ ძალას. პარაკლისის შემდეგ თქვენის უდიდებულესობის სახელით მადლობა გადავუხადე ჯარს თავგამოდებულ სამსახურისათვის და პირადად გადავეცი შინაარსი თქვენის უდიდებულესობის მიერ 7 მაისს გამოგზავნილ დეპეშისა. აღტაცებულის „ურა“-ს ძახილით მიეგება ჯარი ჩემ მიერ წარმოთქმულ თქვენის უდიდებულესობის სადღეგრძელოს. შემდეგ გამოვიხმე ისინი, ვინც სამხედრო ორდენის ნიშნები მიიღეს, აგრეთვე დაჭრილი, მაგრამ ჯარშივე დარჩენილი აფიცრები და სალდათები. ამ მამაცთა წინაშე ჯარმა ჩემთან ერთად ცერემონიალის მარშით გაიარა“.

გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მის უდიდებულესობის სახელზე გამოგზავნილი 1904 წელს 9 მაისს: „ჩვენი მზვერავები და ცხენოსნები ფინშულინის ქედის იქით თვალ-ყურს ადევნებენ იაპონიის პირველ არმიის ჯარს, რომელიც ფინხუანჩენის მიდამოებშია თავ-მოყრილი. იმ ადგილების დასაფარავად, სადაც ჯარია, იაპონელებმა მთავარ-გზებზე დააყენეს მცირე მოწინავე რაზმები, ერთ პოლკამდე ქვეითა ჯარი არტილერიითა და ცხენოსნებით. სხვა უმნიშვნელო გზებზე უფრო ცოტა ჯარია, ორ როტამდე. იაპონელთა ცხენოსნები ნაკლებადა სჩანან. როგორც გუშინ მიღებულ ცნობებიდანა სჩანს, იაპონიის პირველი არმია ასეა განაწილებული: ორი დივიზია ფინხუანჩენსა და იმის მიდამოებშია, ხოლო ერთი დივიზია—ხაბალინში, რომელიც სიუიანიდან ფინხუანჩენისაკენ მიმავალ გზის შუაშია. მიღებულ ცნობებით, იაპონელები ფინხუანჩენს ამაგრებენ“.

ადესსა. 9 მაისს გემ „როსსია“-თი აქ მოვიდნენ: საკანონირო ნავის „მანჯურ“-ის კამანდა, დაჭრილი მიჩმანი გუბონინი, გემ „ვარიაგ“-ის სამი მატროსი, იაპონელების მიერ დაჭერილ გემების „ეკატერინოსლავ“-ისა, „მუკდენ“-ისა, „მანჯურია“-სა და „არგუნ“-ის კამანდები, ვეშაპის მჭერელ ნავების „ბერინგ“-ისა, „ბოლშერეცკი“-სა, „მისკილ“-ის და „როსსია“-ს კამანდები და აგრეთვე ჩემულპოში დაღუპულ გემის „სუნგარი“-ს მატროსები. „მანჯურია“-ს უფროსი ამბობს, რომ რუსებმა წინდაწინვე გააფუჭეს ზარბაზნები საკანონირო ნავისა, რომელიც შანჰაიში დასტოვეს. შანჰაიში დარჩა ორი აფიცერი ხსენებულ ნავისათვის ყურისაგდებლად. პორტ-საიდამდე „მანჯურია“-ს კამანდა მიჰყავდა საფრანგეთის გემს „ანნამ“-ს, რომელზედაც იყვნენ აგრეთვე რუსულ კომერციულ გემების კამანდები. ეს უკანასკნელნი თვე ნახევარს სასებოში იმყოფებოდნენ. იაპონელები მათ კარგად ეპყრობოდნენ, ურიგოდ არ აჭმევდნენ და ნაპირზე ყოველთვის თავისუფლად უშვებდნენ; ცხოვრებდნენ თავიანთ გემებზე დარაჯთა ზედამხედველობის ქვეშ. ნაგასსაკში ტყვეთ ნება მისცეს ნაპირზე ჩამოსვლისა. იაპონელებს აღარ უცდიათ სამხედრო დავლის სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის და წინდაწინვე შეღებეს რუსის გემები იაპონიის გემებისთვის დაწესებულის ფერით.

გემი „მუკდენი“, მეზღვაურთა მოწმობით, ფუზანს ჩაიგდეს ხელში მტრებმა 24 იანვარს, ომის დაწყებამდის. მეზღვაურთ მისცეს ადესაში ბინა შრომის სახლში; მიჩმანი გუბონინი წაიყვანეს სასტუმროში, საიდანაც მშობლები შინ წაიყვანენ. ახლად მოსულები ამბობენ, პორტ-საიდში გერმანელი სამხედრო მეზღვაურნი, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთში მიდიოდნენ, ისე გულწრფელად დაგვიხვდნენ, რომ აგვაცრემლესო; გერმანელებმა გემი „როსსია“ რომ დაინახეს, „ურა“-ს ძახილითა და აღტაცებით მიეგებნენ. ადესსაში მეზღვაურთ მიეგება ნავთსადგურის უფროსი, ოლქის შტაბის აფიცრები და პეტერბურგიდან ჩამოსული ჩინეთის გზის ზღვაოსნობის წარმომადგენელი.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). ადმირალმა ტოგომ 7 მაისს დაზვერა პორტ-არტურის ახლო ადგილები; რუსებისაგან ნასროლი ყუმბარა მოხვდა ნაღმიან გემების გამანადგურებელ გემს „იკატცუკის“; მოკლულია 1 აფიცერი და 24 მეზღვაური.

(დამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის სამხედრო თანამშრომელი სწერს: იაპონელები მალე მიიტანენ იერიშს პორტ-არტურზე. ზოგსა ჰგონია, პორტ-არტური სევასტოპოლივით დიდ-ხანს გაუმაგრდება იაპონელებსაო, მაგრამ სევასტოპოლი გაცილებით უკეთეს ყოფაში იყო; პორტ-არტურს-კი იაპონელებმა ყველა მხრიდან წრე შემოავლეს და ყველა გზა შეუკრეს, ასე რომ პორტ-არტურს ამას იქით მხოლოდ თავის მეციხოვნე ჯარის იმედი უნდა ჰქონდეს და მხოლოდ დამზადებულ სამხედრო და საკვებ სურსათით უნდა წავიდეს იოლად,—გარედან დახმარებას ვერავინ გაუწევს. („უ. ვ.“)

„ნოვოსტი“-ს ლონდონელი კორესპონდენტი სწერს: ინგლისელი სამხედრო მწერლები ამბობენ, სევასტოპოლსა და პორტ-არტურს შუა არაფერი შედარება არააო; სხვა რომ არა ვსთქვათ, სევასტოპოლს ყველა მხრიდან წრე როდი ჰქონია შემოვლებული, სევასტოპოლის მეციხოვნე ჯარს ყველა გზა როდი ჰქონია შეკრული. პორტ-არტურს-კი ხმელეთიდან, თუ ზღვიდან—ყველა მხრიდან წრე აქვს შემოვლებული და ყველა გზა აქვს შეკრული. ამას გარდა თითონ კვანტუნის ნახევარ-კუნძულის ადგილ-მდებარეობაც ხელს შეუწყობს იერიშის მიმტანთ. თუმცა იაპონელები ფრთხილად იქცევიან და უბრალოდ სისხლის ღვრას ერიდებიან, მაგრამ პორტ-არტურს-კი უფრო ფიცხად და მედგრად მოექცევიან და ეცდებიან, რომ ეს ციხე ბალტიის ესკადრის ჩასვლამდე აიღონ, თუ ამ ესკადრის გაგზავნა ნამდვილად გადაწყვეტილი აქვს რუსეთის მთავრობას. იაპონელებმა რომ მოინდომონ და ჯარისკაცები გაიმეტონ, პორტ-არტურს სულ მალე აიღებენ, ასე რომ პორტ-არტურის ბედი ეხლა მთლად იაპონელების ხელშია. ინგლისელების აზრი მით უფრო საყურადღებოა, რომ ამათი წინასწარმეტყველება და მოსაზრება ყოველთვის მართლდებოდა. „დეილი ტელეგრაფ“-ის ცნობილმა კორესპონდენტმა ბენეტ ბურლეიგმა სამის თვის წინად დასწერა, პორტ-არტურის აღება ხმელეთიდან არც თუ ისე ძნელიაო. („ნ.“).

„ჩიკაგო დეილი ნიუს“-ის კორესპონდენტი ჩიფუდან დეპეშით იუწყება: იაპონიის მესამე ესკადრამ ადმირალ კატაოკის უფროსობით 1 მაისს დილით დალნის ზარბაზანი დაუშინა; მგონია, დალნი ეხლა იაპონელების ხელში უნდა იყოს. („ბ. ვ.“).

გერმანული გაზ. „კელნიშე ცაიტუნგ“-ი იუწყება: ლიაოიანში რუსებს ახალ-ახალი რაზმები მოსდით. („ნ.“).

ინგლისურ გაზეთების სამხედრო თანამშრომლები სწერენ: იაპონელებს ლიაოიანისაკენ გენ. კუროპატკინის წინააღმდეგ 130 ათასი კაცი მიჰყავთო. ზოგიერთი ამბობს, 130 ათასი-კი არა, 190 ათასი მიჰყავთო. („ბ. ვ.“).

„ნ. ფ. პრესე“ სწერს: იაპონელებს ამ ჟამად ბრძოლის ველზე სულ 9 დივიზია მებრძოლი ჯარი და 7 სარეზერვო (მარქაფა) ბრიგადა ჰყავთ. 2 მებრძოლი დივიზია პორტ-არტურთან მოქმედებს, 7 მებრძოლი დივიზია და 7 სარეზერვო ბრიგადა ლიაოიანისაკენ. 7 მებრძოლ დივიზიაში იაპონელებს 84 ბატალიონი, 21 ესკადრონი, 42 ბატარეია და 7 ბატალიონი საპიორი ჰყავთ, სულ 100 კაცი ჰყავთ და 270 ზარბაზანი აქვთ. 7 სარეზერვო ბრიგადაში იაპონელებს 28 ბატალიონი, 7 ესკადრონი, 7 ბატარეია და 3 როტა საპიორი ჰყავთ, სულ 20 ათასი კაცი ჰყავთ და 42 ზარბაზანი აქვთ. ასე რომ გაზეთის ანგარიშით, იაპონელებს ამ ჟამად სამხრეთ მანჯურიაში 120 ათასი კაცი ჰყავთ

და 312 ზარბაზანი აქვთ, ამას გარდა პორტ-არტურთანაც ორი დივიზია სხვა ჰყავთ. („ნ.“)

„დეილი ექსპრეს“ ი იუწყება: იაპონიის 100 სატრანსპორტო გემი 1 მაისს ლიაოდუნის ნახევარ კუნძულს დასავლეთ მხარეს დადიოდაო.

„მორნინგ პოსტ“-ი იუწყება: იაპონიის 60 სატრანსპორტო და მებრძოლი გემი ცინჩეოუს ახლო მოვიდაო. რუსებმა ჩინურ ნავებს პორტ-არტურის ნავთ-სადგურიდან გარედ გასვლა აუკრძალეს. მუკდენში ჩინელებს იარაღი აჰყარეს; ჩინელმა გენერალმა ამის წინააღმდეგ პროტესტი გამოაცხადაო. („რ.“)

„დეილი ტელეგრაფ“-ს დეპეშით ატყობინებენ ტიანძინიდან, 6 მაისს ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა ქალ. სიუანი დაიჭირესო. 3 მაისს ნიუჩუანს ახლოც დიდი ზარბაზნის სროლა ისმოდაო. („ბ. ვ.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ს დეპეშით ატყობინებენ ტიანძინიდან: რუსის გენერალი ლინევიჩი საკმაოდ დიდის რაზმით ვლადივოსტოკიდან კორეისაკენ მიდისო. („ბ. ვ.“).

„ნოვოსტი დნია“-ს დეპეშით ატყობინებენ ლიაოიანიდან: იალუზე ბრძოლის შემდეგ, 18 აპრილს რუსის სამხედრო ქარავანი („ობოზ“) და საავადმყოფო ფინხუანჩენის გზაზე მიდიოდნენ და პოტეტინცის პირდაპირ რუსის მესამე ბატარეის ცხენოსან არტელერისტებს შეეხეჩნენ, უცებ ვერ იცნეს და იაპონელებად ჩასთვალეს; ქარავანისა და საავადმყოფოს ჯარის-კაცები და მოსამსახურეები ისე შეშინდნენ, რომ ყველაფერს თავი ანებეს და თავზარ დაცემულნი გაიქცნენო.

ნიუჩუანში რუსებს კანონირი გემი „სივუჩ“-ი უდგათ. „რეიტერის სააგენტო“ იუწყებოდა, ვითომ რუსებს ამ გემიდან ზარბაზნები გადმოეღოთ და დაშიცაოში გაეგზავნოთ, თითონ გემს-კი აფეთქებას უპირობდნენ. „სივუჩ“-ი შვეციაშია აშენებული, წყალ-წყვა 950 ტონა აქვს, სიგრძე—187 ფუტი, სიგანე—35 ფუტი და სიჩქარე—1 საათში 20 ვერსტამდე გადის. („რ. ლ.“).

ამას წინად იაპონელების პატარა სამხედრო გემი „მიაკო“ კერის ბუხტაში (დალნის ჩრდილოეთით) რუსის ნაღმს წააწყდა და დაიღუპა. გემზე 220 მეზღვაური იყო, მაგრამ სხვა გემები მალე მიეშველნენ და მეზღვაურები სიკვდილს გადაარჩინეს. მხოლოდ 6 კაცი დაიღუპა. „მიაკო“ იაპონიაში იყო აშენებული, 1,800 ტონა წყალწყვა ჰქონდა, სიჩქარე—1 საათში 35 ვერსტს გადიოდა, ორი 12-სანტიმეტრიანი და ათი 4 3/4-სანტიმეტრიანი ზარბაზანი ჰქონდა. („რ. ვ.“).

რუსეთის წითელ ჯვრის უმთავრესი რწმუნებული კამერგერი ალექსანდროვსკი ლიაოიანიდან დეპეშით ატყობინებს აღმასრულებელ კომისიას პეტერბურგში, პოდპოლკოვნიკმა სპირიდონოვმა ბევრი საჭირო მასალა და წამალი ჩაუტანა პორტ-არტურის სამხედრო საავადმყოფოებსაო. („რ. ვ.“).

„სენტრალ ნიუს“-ის სააგენტო იუწყება: ტოკიოში დიდი სარწმუნოებრივი კრება მოახდინეს. კრებას 1000-მდე კაცი დაესწრო: ინგლისელი და ამერიკელი მისსიონერები, იაპონელი შინტოისტები და ბუდისტები. კრებამ დაადგინა, ეხლანდელ ომს არავითარი კავშირი არა აქვს რასასა (მოდგმასა) და სარწმუნოებასთან; იაპონია მხოლოდ შორეულ-აღმოსავლეთში მკვიდრ ზავისა და მშვიდობიანობის დამყარებას ცდილობსო. („რ. ს.“).

ამ დღეებში ჩინეთის ელჩმა თავის მთავრობის მანდობილებით პეტერბურგში გამოუცხადა რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტროს, ცისქვეშეთის იმპერია მტკიცედ დაიცავს ნეიტრალიტეტსაო. („რ. ვ.“).

„რუს“-ს დეპეშით ატყობინებენ ლიაოიანიდან: 2 მაისს რუსის კაპიტანმა პოპოვსკიმ რუსეთის მეგობარ ჩინელებს სადილი გაუმართა. სადილს დაესწრნენ პრინცი ხაიმე ბურგონი, ლიაოიანის რუსის ადმინისტრაცია და გაზეთების კორესპონდენტები; სადილის დროს სიტყვები წარმოსთქვეს, ერთმა ჩინელმა სთქვა: ჩემის აზრით, ჩინეთი ყოველთვის თავის მეზობელ რუსეთის მეგობარი უნდა იყოსო“. მეორე ჩინელმა სინანული გამოსთქვა იმის თაობაზე, რომ რუსებმა ხუნხუზების დევნის დროს მთელი სოფ. შაიტაიძი დასწვეს და ბევრი უდანაშაულო კაცი დააზარალესო.

ჩინელს აუხსნეს, სოფ. შაიტაძის გარედ ერთ სახლში ხუნხუზები დაიმალნენ, რუსებმა მარტო ამ სახლს წაუკიდეს ცეცხლი, მაგრამ ქარმა მთელს სოფელს მისდო ცეცხლიო. კაპიტანმა პოპოვსკიმ დაზარალებულ ჩინელებს 500 მან. შესწირა, სადილზე დამსწრეთაც შეკრიბეს ფული. სამხედრო ინჟენერმა სანნიკოვმა უთხრა, დაზარალებული ჩინელები სამუშაოთ გამომგზავნეთ და ერთი ნახევრად მეტს სამუშაო ქირას მივცემო. („რ.“).

ახალი ამბავი

◆ ამას წინად ერთ გაზეთში, რომელსაც „Россія и Азія“ ერქვა და კიევის უნივერსიტეტის **პრივატ-დოცენტი ბ. გრენი** რედაქტორობდა, დაბეჭდილი იყო ერთი უწმაწური წერილი, რომელშიაც ავტორი საძაგელის სიტყვებით ლანძღავდა თამარ მეფეს და ჰქელავდა მის ხსენებას. ხმარობდა ისეთ უწმაწურ სიტყვებს როგორც თამარისა, ისე მთელი ქართველ ხალხის დასამცირებლად, რომლის მსგავსს ადამიანი არა თუ მწერლობაში, ავლაბარშიაც კი იშვიათად გაიგონებს. ამ წერილმა თავის დროზე ბევრი აღელვა და ააშფოთა. ყველას გაუგებრად რჩებოდა ის გარემოება, რომ ისეთი უწმაწურობის დამწერს კიევის უნივერსიტეტი აფარებდა თავის კალთას და სტოვებდა ახალთაობის მასწავლებლად.

ეხლა, როგორც ეტყობა, უნივერსიტეტის ფაკულტეტსაც გაუგია ხსენებულ წერილის ნამდვილი შინაარსი და ბ-ნი გრენი უნივერსიტეტიდან დაუთხოვნია. როგორც გავიგეთ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. დ. ზ. მელიქიშვილს წერილი მოსვლია კიევის უნივერსიტეტის რექტორისაგან, რომელშიაც იგი აცნობებს ფაკულტეტის გადაწყვეტილებას შესახებ ბ-ნ გრენის დათხოვნისა.

◆ გუშინ-წინ პეტერბურგიდან „**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ** საზოგადოების“ გამგეობამ პროფესორ ა. ა. ცაგარლისაგან მიიღო წერილი, რომლითაც პროფესორი ულოცავს საზოგადოებას 25 წლის მოღვაწეობის შესრულებას. ამასთან პატივცემულ პროფესორს გამოუგზავნია თავისის უკანასკნელ გამოცემის „გრამოტები და სხვა საისტორიო საბუთები მე-18 საუკუნისა საქართველოს შესახებ“ მეორე ტომის 30 ცალი რუსულად და ქართულად. ორივე ცალი უნდა გაყიდოს საზოგადოების გამგეობამ თავის სასარგებლოდ. ქართული ტომი ღირს 1 მან. 50 კაპ., რუსული 2 მან., ხოლო ორივე ერთად 3 მან.

◆ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ **წერა-კითხვის საზოგადოების 1903 წლის „ანგარიში“** დაურიგდა საზოგადოების აგენტებს, რომელთაგანაც მსურველთ შეუძლიათ მიიღონ. ტფილისში „ანგარიშის“ მიღება შეიძლება საზოგადოების კანცელარიასა და ვერასა და ნაძალადევის ბიბლიოთეკებში.

◆ ბეჭდვითი საქმის მთავარმა გამგეობამ აცნობა ტფილისის გუბერნატორს, რომ ცენზურის წესდების მე-121 მუხლის ძალით საბოლოოდ დახურულ იქმნა ტფილისის გამოცემა „**არგონავტი**“.

◆ 9 მაისს ს. ი. ხაჩიტოვის თავმჯდომარეობით მოხდა წლიური კრება ტფილისის **ნოქართა ურთი-ერთ დამხმარებელ** საზოგადოებისა. ცნობები ანგარიშიდან უკვე გვქონდა აღნიშნული. როგორც ეტყობა, საზოგადოების საქმე თან-და-თან წინ მიდის. კრებამ დაამტკიცა ანგარიში და მერე განიხილა ხარჯთ-აღრიცხვა. წელს შემოსავალს მოელიან 3000 მან. ხარჯი ნაანგარიშევია 1800 მან. კრებამ დაადგინა, გადასდოს 200 მან. წიგნების შესაძენად, 900 მან. გამსესხებელ თანხის გასაძლიერებლად, ხოლო 600 მან. იმ ექიმების გასამრჯელოდ, რომლებთანაც ივლიან საზოგადოების წევრები. დასასრულ მოხდა არჩევნები. გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა კ. მ. ალიხანოვი; წევრებად: ტ. პ. ხოჯოთუმანიანი, ნ. ა. ამირაღოვი დ. ს. ი. ხაჩიტოვი; გამგეობის წევრთა კანდიდატებად ო. ტ. კარაპეტოვი, მ. დ. ამბარცუმოვი, ვ. ა. მელკონოვი და ე. ი. სარქისოვი; სარევიზიო კომისიის წევრებად: ა. გ. საფაროვი, ა. ა. აპრესოვი, გ. ე. ბოზუხოვი და გ. ბ. ტერ-არუთინოვი.

◆ ამას წინად კავკასიის ზოგიერთა ქალაქებმა შუამდგომლობა აღძრეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ხაზინას შემწეობა აღმოეჩინა ქალაქისთვის **ჯარების ბინათა** დასაქირავებლად. სხვათა შორის, ტფილისის ქალაქის გამგეობამ ითხოვა 65,000 მან. გუშინ გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის მოურავს, თქვენი შუამდგომლობა კარგა ხანია წარვუდგინე მთავარმართებელს, მაგრამ ჯერ პასუხი არ მოსულა და შესაძლებელია, შუამდგომლობა არ იქმნეს დაკმაყოფილებულიო.

◆ კავკასიის სამკურნალო საზოგადოების შუამდგომლობის თანახმად, მთავარმართებელმა ნება დართო ამ საზოგადოებას გადათარგმნოს და გაავრცელოს კავკასიის მკვიდრთა შორის რუსეთის ექიმთა საზოგადოების მიერ გამოცემულ **პოპულიარულ წიგნაკები** ყელჭირვებასა, მუცელასა, ტრახომასა და სხვა სენის შესახებ.

◆ **გერმანიის მთავრობის** რწმუნებული ალფრედ ბორხარდტი, რომელიც დასავლეთ რუსეთშია ამ ჟამად მიწათ-მოქმედების და სატყეო საქმის შესასწავლად, ამ ზაფხულს სამეცნიერო აზრით კავკასიაში მოდის.

◆ როგორც სიღნაღიდან გვატყობინებენ, დიდის წვიმების გამო **სიღნაღ-თელავის გზატკეცილი** ბაკურციხის ნაწილში 23 ვერსის მანძილზე ძლიერ დაზიანებულა. ხიდები სულ წყალს წაუღია.

◆ ბორჩალოს მაზრიდან გვატყობინებენ, რომ რკინის გზის მუშის სლესარევის მკვლელები სოფ. სარვანის მცხოვრებნი—ალმაზ-მაჰმედ-ოღლი და მაჰმედ-უმბატ-ოღლი, რომელნიც 26 აპრილს ჩადენილ მკვლელობის შემდეგ იმალებოდნენ, თავის ნებით გამოცხადდნენ მაზრის უფროსთან და განაცხადეს, რომ ჩვენა ვართ იმ მუშის მკვლელებიო. მაზრის უფროსმა ისინი შულავერის გამომძიებელს გადასცა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, გადასდოს ფული იმათ დასაჯილდოვებლად, ვინც 1 სექტემბრამდე წარუდგენს გამგეობას პროექტს მუხრანის ხიდის გეგმისას. საპრემიოდ დანიშნა 600 მან., 400 მან. და 200 მან.

◆ როგორც თიანეთიდან გვატყობინებენ, აპრილის გასულს წყალდიდობამ დიდი ზარალი მიაყენა სოფელ კუპრიაანთკარედ გლეხებს, რომელთა სადგომები, ბოსლები, ბოსტნები და ბაღები წყალმა ქვებით და ქვიშით აავსო თურმე.

◆ გუშინ ტფილისის გუბერნატორმა აცნობა ქალაქის გამგეობას, კარგა ხანია ამაღლების ქუჩის მცხოვრებნი ჩივიან, რომ ამ ქუჩის ბოლოში გაკეთებულ ტუნელიდან საშინელი სუნი გამოდის და მეტად აწუხებს მცხოვრებთაო. გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, შეაკეთებინოს და გამოაწმენდინოს არხი.

◆ გორის მაზრაში აპრილის მეორე ნახევარში შემდეგი ამბები მომხდარა: 1. სოფ. თელეხევის მცხოვრებს ვასილ მარგოშვილს ჩხუბის დროს ხანჯლით დაუჭრია თავისი ორი ძმა იოსები და ბესარიონი და დამალულა. 2. სოფ. გდულეთში მცხოვრებს პეტრე ჯიოშვილს ჩხუბის დროს მარჯვენა ფეხში დაუჭრია რევოლვერით სოფ. წინაგორის მცხოვრები იოსებ ბიჭანაშვილი; 3. გორში ვერა მეჩიტოვისა თავისს მოსამსახურეს სოფ. ზერტის მცხოვრებს დავით მეჩიტაშვილს გაუქურდავს, ფულად 207 მან. და 62 კ. წაუღია.

რუსეთის ქრონიკა

◆ ვლადივოსტოკის ქალაქის მოურავმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ფინანსთა მინისტრს: „მას შემდეგ, რაც ომი იქნა გამოცხადებული და იაპონელებმა ზარბაზნები

ფელეტონი

ორიოდე დღე ალლავერდის მადანში

(შემდეგი *)

ჩვენ მეორე სართულში ვიყავით, იქაც იგივე დახლართულ-დაქსაქსული ხვრელები, იგივე ყვირილი, იგივე ჩაქუჩების ჩახა-ჩუხი და იგივე შემურულ-შეთხუპნულნი, წყლითა და ტალახით გაჟღენთილნი და გამოურკვეველ ფერის ნაფლეთებში ჩაცმული სპარსელები იყვნენ. ერთ ადგილას ისეთივე ჩარხი და უძირო, შავი ორმო იყო, როგორიც ქვეითა სართულში. შტეიგერმა შიგ ჩასვლა მოისურვა: საქმე მაქვს და მალე ამოვალ, თქვენ კი აქ მომიცადეთო; ჩაჯდა ხის ყუთში, სპარსელმა ჩარხი დაატრიალა და რამდენიმე წუთის შემდეგ შტეიგერი და იმის ჭრაქი სიბნელეში შთაინთქნენ. ჩვენ იქვე მომუშავე სპარსელთან მივედით და იმათ მუშაობას თვალ-ყურის დევნა დავუწყეთ.

— თაზა ინჟინერდარდლარ (ახალი ინჟინრები)—უთხრა ერთმა სპარსელმა მეორეს და ჩაქუჩების რახა-რუხი უფრო გაცხარდა.

— ჭარალისის? (სადაური ხარ) დავუთათრულე ერთს. ყველამ მუშაობა შესწყვიტა, ჯერ პირ-დაღებულნი და გაკვირვებულნი დამაცქერდნენ, შემდეგ ღიმილი დამიწყეს და ერთხმად მიპასუხეს:

— ჭადერბეიჯანლიახ (ჭადერბეიჯანელები ვართ). ლაპარაკი და გამოკითხვა დავუწყე. სპარსეთში, —მიამბო ერთმა,—დღეში სამ-შაურსა და ერთ აბაზს ძლივს ვშოულობთ, აქ კი სამი აბაზი, ოთხი აბაზი და ზოგჯერ მეტიც გვაქვს. აქ, მართალია, ძნელი სამუშაოა, მაგრამ შევეჩვიეთ და ეხლა აღარა გვიშავს-რა. მადაროებში თითქმის ყველანი სპარსელები ვართ. რამდენიმე ას-კაციდან მხოლოდ ათიოდე ქართველი, ათიოდე ოსი და ოციოდე რუსი იქმნება. დღეში 11-12 საათსა ვმუშაობთ. აი, მე, მაგალითად, თორმეტი წელიწადია რაც აქ ვმუშაობ, მაგრამ კმაყოფილი ვარ. ეგ არის მხოლოდ, წინად ჩვენს მხარეში, ათ სოფელში პირველი მოჭიდავე ვიყავი, ეხლა კი, თუმცა 32 წლისა ვარ, მაგრამ ფეხზე ძლივს და ვდგევარ. წინად, სანამ ჩვენ მოვიდოდით,—განაგრძო სპარსელმა,—აქ სულ ბერძნები მუშაობდნენ. უკანასკნელნი მათგანი დღეში რვა, ცხრა აბაზს და ორ-მანეთს იღებდა, ეხლა-კი ჩვენ სამ-და-ოთხ აბაზად ვმუშაობთ. ამის გარდა აქ მუშაობა კიდევ იმით არის კარგი, რომ მადაროებში მუშაობის დროს დაშავებულ და დასახიჩრებულ მუშებს ბლომად ფულს აძლევენ, რადგან ყველანი დაზღვეულნი არიან. შარშან წ.ას აი, ამ მადაროში კლდე ჩამოწვა და ჩემი უფროსი ძმა გაჭყლიტა; მე-კი ექვსასი მანეთი მომცეს.

ჩემი მოსაუბრე სპარსელი თავის მდგომარეობითა და მადაროებში არსებულ მუშაობის ძნელ პირობებით სრულიად კმაყოფილი იყო. ის თავის ეხლანდელ მდგომარეობას წარსულს ადარებდა და უპირატესობას, რასაკვირველია, ეხლანდელს აძლევდა. იქვე, ხუთიოდე ნაბიჯის იქით სხვა მუშები ლაპარაკობდნენ. ქართველები და რუსები იყვნენ. მივედით, გამოველაპარაკეთ, გამოვკითხეთ.

— ვირები არიან, ნამდვილი ვირები არიან, —სპარსელებზე მითხრა დაბალმა, ჩასხმულმა, სხვებსავით შეთხუპნულ-შემოკლეჯილმა და ოფლში გაწურულმა ქართველმა. თავში რომ კეტი ჩაარტყათ, მადლობას გადაგიხდიან; დღეს ოთხ-აბაზად მუშაობენ, ხვალ რომ ათი შაური მისცენ, ეგენი ისევ მადლობას ეტყვიან. არც საკვირველია, დღეში ერთი შაურის პური და სამი კაპეიკის ხახვი, ან ნიორი ჭყლოფნით, დანარჩენი ჯიბეში რჩებათ. იმიტომაც არის, რომ ბერძნები, რუსები და ჩვენ გვმტერებით. აი, თქვენც ჰხედავთ, რა სამუშაოა. დღეში 10-12 საათს ვმუშაობთ, ფეხთ ჩვენ არ გვაცვია, ქუდი ჩვენ არ გვხურავს, ტანისამოსი არა გვაქვს, მთელი წლის განმავლობაში ერთი გოჯი სისქე ტალახი გვაცხია, ტანს ვერ ვიბანთ, რადგან ამ ოხერ მადაროებში წელიწადში მხოლოდ დღე-ნახევარი გვაქვს დასვენება. მეორე ეს ტალახიც ცარიელა რკინაა, ტანს გვწვავს, ტანისამოსს ორი დღის შემდეგ გვიდამპობს, ჰაერის მაგივრად დინამიტის ბოლსა და აი, ამ ჭრაქების ჭვარტლსა ვსუნთქავთ და ამის შემდეგ მოდი და მაგ სპარსელებს გულგრილად შეხედე. ეტყვი რასმეს, გთხოვთ, ფასი მოგვიმატეთო, არაფერი არ გამოდის. დღეში ერთ საათის ვარ დღის სინათლეზე, სადაა დავბრმავდები და მერე რა ოხრად მინდა ი რადაც ოციოდე თუმანი?

ცოტა ხნის შემდეგ ორმოდან შტეიგერი ამოძვრა. გზა განვაგრძეთ. ამ მადაროში, ხვრელები უფრო დაბალი, ვიწრო და და დაკლაკნილი იყო. რკინის გზის ლიანდაგი აქ თუმცა იყო, მაგრამ ვაგონეტკებს ორმომდე ხელით მიაგორებდნენ ხოლმე და ჯოვარს იქა ჰყრიდნენ. ეს ორმო გადიოდა ქვეითა სართულში, „სან-ელდინ“-ის მადაროში, სადაც ამ ჯოვარს ისევ ვაგონეტკებში ჰყრიდნენ და გარედ ცხენებით გაჰქონდათ. კარგა ხეტიალის შემდეგ ისევ წინანდებურად ვიწრო და ქვის საფეხურებიანის ხვრელით ავედით მესამე სართულში, „სან-ჟან“-ის მადაროში. ამ მადაროში ცხენები მუშაობდნენ. ეტყობოდა, ეს მადარო ძალიან ძველი და დიდიხნის გათხრილი უნდა ყოფილიყო, რადგან ქვის თაღის მაგივრად გაკეთებული ხის თაღი დაობებულ-დაფუტ[illegible]როვებულიყო. ჰაერი ძალიან ცოტა და უვარგისი იყო, ჭრაქები ძლივსღა იწვოდნენ, რამდენჯერმე გაგვიქრა, მაგრამ ჩვენ ისევ წინ მივიწევდით. თან მოგვდევდა ჭერის კუთხეში გაკეთებული რკინის მილი, რომელშიაც გარედან ჰაერი [illegible]ნით შემოდიოდა. ამისთვის მადროს შემოსავალ-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2487.

დაუშინეს ვლადივოსტოკს, გადაიტანეს აქედან ყველა საადმინისტრაციო დაწესებულებანი და სასწავლებლები. მცხოვრებთა რიცხვი განახევრდა. ბევრნი ახლაც მიდიან ქალაქიდან, რადგან ერთობ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. სამუშაო არაფერია. ადგილობრივმა ბანკებმა მოსპეს ახალი სესხის გაცემა. მრავალ ვექსილებზე პროტესტია გამოცხადებული. ქონების გაყიდვა არ შეიძლება ქესატობის გამო. ამ დროს კი იაროსლავ-კოსტრომის და ნიჟეგოროდ-სამარის ბანკები საჯარო ვაჭრობით ჰყიდიან იმ მოვალეთა ქონებას, რომელთაც დროზე ვერ შემოიტანეს სარგებელი. ბანკებს კლიენტებს გაკოტრება მოელისთ. ხალხი, რომელსაც მომხდარ ამბებში არაფერი ბრალი არ უდევს, ულუკმა-პუროდ რჩება. ბევრნი იძულებულნი გახდნენ თითქმის მუქთად დაუთმონ თავისი ქონება ჩარჩებს. ქალაქის საბჭოსა და ბანკების კლიენტების მონდობილებით ვაუწყე ხსენებულ ბანკების გამგეობათ ხალხის გაჭირვებული მდგომარეობა, მივმართე იმათ პატრიოტულ გრძნობას და ვთხოვე მოესპოთ სარგებლის შეუტანლობისათვის გაჭირვებულ მცხოვრებთა ქონების გაყიდვა. დეპეშის საპასუხოდ, ნიჟეგოროდ-სამარის ბანკმა უკვე განკარგულება მოახდინა ვლადივოსტოკში დანიშნულ საჯარო ვაჭრობის გადადების შესახებ“.

◆ რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ლოძში, ვრცელ საქარხნო რაიონის ცენტრში, ქალაქის სხვა-და-სხვა ადგილას პოლიციას უნახავს შიმშილისაგან გულ-შემოყრილი 7 მუშა: 4 ქალი და 3 კაცი. ყველა ესენი საავადმყოფოში გაუგზავნიათ.

◆ მოსკოვის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტში დაიწყო 4 მაისს განხილვა საქმისა იოსებ ბარანოვის ქარხანაში მომხდარ უწესოების შესახებ. ბრალდებულთ იცავენ ნაფიცი ვექილები: პლევაკო, მანდელშტამი, ტესლენკო, სტალი, მაკლაკოვი და სხვ. 92 მოწმე დაბარებული. სასამართლოს დარბაზში ხალხს არ უშვებენ. საქმის გარჩევა 3 დღეს გასტანს.

◆ ოდესიდან აუწყებენ „რუსკ. სლოვო“-ს: გაზ. „ოდესკი ლისტოკ“-ის რედაქციაში მისულა ცნობილი მოჭიდავე უტოჩკინი და მოქმედებით შეურაცხყოფა მიუყენებია ამ გაზეთის ფელეტონისტ ომეგასათვის (ფსევდონიმია). უტოჩკინს ვიღაც მარტინოვიჩი ეხმარებოდა. ომეგამ თავის დაცვის დროს სკამით გაუტეხა თავი უტოჩკინს.

◆ გაზ. „ხარბინსკი ვესტ.“-ი იუწყება, რომ მანჯურიაში მრავალი ყალბი მანეთიანი და სამ-მანეთიანი ქაღალდის ფული გაუვრცელებიათ იაპონელებსო. რუსეთ-ჩინეთის ბანკი მთელი ყუთებით აგზავნის ამ ყალბ ფულს.

◆ პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე 18 „ბოსიაკის“ შესახებ, რომელნიც მოთავეობდნენ 27 მარტს 1903 წ. ღამის თავშესაფარში მომხდარ უწესოებას. ეს უწესოება პოლიციისაგან ღამის თავშესაფრის გაჩხრეკის შემდეგ მოხდა. ბოსიაკებმა ყვირილი ასტეხეს: „ძირს პოლიცია, სცემეთ პოლიციასაო“! ამტვრევდნენ კარებს, ფანჯრებს. საშინელი ალიაქოთი ასტყდა. გამოწვეული იყო პოლიციელთა დიდი რაზმი. ბოსიაკები კარებისა და ფანჯრების ნამტვრევებს ესროდნენ პოლიციელთ. ზოგიერთები სახლის სახურავებზე ავიდნენ და იქიდან ესროდნენ სხვა-და-სხვა ნივთებს. მოიყვანეს ჯარი და ალყა შემოარტყეს თავშესაფარს. ბოსიაკები მაინც თავისას არ იშლიდნენ. მალე თავშესაფარში ცეცხლი გაჩნდა. ბოსიაკები ქუჩაში გამოცვივდნენ და იქ დაატყვევეს 382 კაცი. პალატამ დამნაშავედ იცნო 11 ბრალდებული და სხვა-და-სხვა ვადით, 3 თვიდან ერთ კვირამდე, დაპატიმრება გადაუწყვიტა, 7 კაცი-კი გაამართლა.

◆ ეკატერინოსლავის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე უბნის ზედამხედველის ვოლოხინისა, ღამის დარაჯების კონტროლერის ივანიცკის და პოლიციის სხვა მოხელეთა შესახებ, რომელთაც ქალის გაუპატიურება ჰბრალდებოდათ. ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავედ იცნეს ყველა ბრალდებულნი. სამს მათგანს მიუსაჯეს პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა 4 წლით, დანარჩენ ორ დამნაშავეს-კი—3 წლით დატუსაღება.

◆ ციმბირის რკინის გზაზე გაცხარებული მუშაობაა. აკეთებენ 68 ადგილას მატარებლების ასაქცევ სადგურებს. 30 სადგური მაისის დამლევამდის უნდა დაესრულებინათ.

◆ მოსკოვის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ბებიის ფომინას შესახებ, რომელმაც მშობიარე ქალთა მოსკოვის თავშესაფარში სამსახურის დროს არ მიიღო ერთი იქ დასაწოლად მისული ორსული ქალი, რის გამო ეს უკანასკნელი იძულებული გახდა შინ წასულიყო და ქუჩაში მორჩა. საქმის გარჩევის დროს გამოირკვა, რა სამწუხარო მდგომარეობაში ყოფილა საზოგადოდ მოსკოვის ყველა თავშესაფარი მშობიარე ქალთათვის. სამოსამართლო პალატამ 7 დღით დაპატიმრება მიუსაჯა ფომინას.

◆ მოსკოვის გაზეთების სიტყვით, ერთმა იქაურმა ჩარჩოების ქარხნის პატრონმა პოლიციაში მიიყვანა ახალგაზრდა იაპონელი, რომელიც მის ქარხანაში ყოფილა მუშად. ახალგაზრდა იაპონელი საკვირველად ბეჯითი, შრომის მოყვარე, მორცხვი და სწავლის მოყვარული კაცია თურმე. იგი რუსულად კარგად ლაპარაკობს. ამ ბოლო დროს რუსმა მუშებმა მტრულად დაუწყეს ცქერა იაპონელს, ჯაშუშობა დასწამეს და ბოლოს გამოუცხადეს ქარხნის პატრონს, არ გვინდა ამ იაპონელთან ერთად მუშაობაო. ამის შემდეგ იაპონელი პოლიციაში წაიყვანეს და ცნობებს ჰკრეფავენ იმის შესახებ.

სასამართლო

ბოროტ-მოქმედებანი სამსახურის დროს

7 მაისს ქუთაისში ტფილისის სამოსამართლო პალატის სესიამ ს. ბ. ვრასსკის თავმჯდომარეობით გაარჩია საქმე რაჭის სამაზრო სამხედრო საკრებულოს საქმის-მწარმოებლად ნამყოფის აზნ. სერგეი გრიგორის ძის ავალიანისა, რომელსაც სამსახურის დროს სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენა ჰბრალდებოდა. როგორც საბრალმდებლო ოქმიდანა სჩანს, ავალიანს თუმცა ცოტა ჯამაგირი ჰქონია (514 მანეთამდე წელიწადში), უყიდია უძრავი მამულები სულ 10,000 მანეთისა და აგრეთვე სცხოვრებდა მდიდრულად. მცხოვრებთა შორის ხმა იყო გავრცელებული, რომ ვისაც სამხედრო ბეგრის თავიდან აშორება უნდა, უნდა მიჰმართოს საქმის მწარმოებელს ავალიანსაო. ავალიანს მაზრის სხვა-და-სხვა კუთხეებში თავისი აგენტებიც ჰყოლია. გამოძიების დროს მოუპოვებიათ მრავალი საბუთები, გამოუკითხავთ მრავალ მოწმეთათვის, დარწმუნებულან ავალიანის ბოროტ-მომქმედებაში და პასუხის-გებაში მიუციათ. ავალიანს, როგორც გამოძიებიდანა სჩანს, ჩაუდენია შემდეგი ბოროტ-მოქმედებანი: 1. 1899 წელს ავალიანს ფულისთვის ონას მცხოვრებ თავ. გრიგოლ ყიფიანისათვის მიუცია წინააღმდეგ სამხედრო საკრებულოს დადგენილებისა ცრუ მოწმობა, რომ ყიფიანი ჩარიცხულია ჯარის კაცად ოპოლჩენიის მეორე რიგში, მაშინ როცა ყიფიანი პირველ რიგის ოპოლჩენად უნდა ჩარიცხულიყო. ამისათვის ავალიანს მოუტყუებია საკრებულოს თავმჯდომარე კვიტაშვილი; 2. 1896 წელს ავალიანს ლუკა ხუციშვილისაგან სამხედრო ბეგრისაგან განსათავისუფლებლად მიუღია 200 მან. ხუციშვილისათვის ავალიანს მიუცია ცრუ მოწმობა. 3. 1895 წ. ბრალდებულს სოფ. შუბანის მცხოვრების სპირიდონ ყობულაშვილისთვის გამოურთმევია 800 მან. სამსახურში გაწვევის ვადის გადასადებად 4. 1899 წელს ავალიანს იაკობ ბერუჩაშვილის შესახებ ყალბი სიტყვიერი მოხსენება წარუდგენია სამხედრო საკრებულოს თავმჯდომარე კვიტაშვილისათვის, რომ იაკობ ბერუჩაშვილს მესამე ხარისხის შეღავათი აქვს, რადგან იმისი უფროსი ძმა დარჩო უკვე ჯარშია გაწვეულიო. ამის გამო თავმჯდომარეს შეცდომა მოსვლია და ბერუჩაშვილი ოპოლჩენის რატნიკად ჩაურიცხავს, მაშინ როდესაც იაკობის ძმა დარჩო უფროსი კი არა, უმცროსი ყოფილა და არც ჯარში ყოფილა გაწვეული. როგორც საბრალმდებლო ოქმშია აღნიშნული, ავალიანს ასეთი ბოროტ-მოქმედება ჩაუდენია 12-მდე. ამას წინად ეს საქმე გაარჩია ქუთაისის ოლქის სასამართლომ, დამნაშავედ იცნო ავალიანი და გადაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ორის წლით. პალატის სესიამ ქუთაისში 7 მაისს განიხილა ეს საქმე და დამატებით გამოჰკითხა კიდევ რამდენსამე მოწმეს. ბრალდებულს პალატაში იცავდა ნაფ. ვექილის თანაშემწე გრუზენბერგი. პალატამ გააუქმა ოლქის სასამართლოს განაჩენი და გაამართლა ბრალდებული ავალიანი.

წერილები

დაბა ხონი. ამას წინად ბოქაულის თავ. ა. ფაღავას თავმჯდომარეობით მოხდა კრება შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა. პირველად კრებამ განიხილა წარსული წლის ანგარიში. ამხანაგობას საანგარიშო წელს ძალიან ცოტა მოგება ჰქონია. 1902 წელს წმინდა მოგება დარჩენია ამხანაგობას 900 მანეთი, 1903 წელს-კი 500 მანეთით ნაკლები. ცხრა ამხანაგს არ შეუტანია თავის დროზე არც ამხანაგობიდან გატანილი ფული და არც ფულის 0/0. კრებამ დაამტკიცა ანგარიში, ამასთან დაავალა გამგეობას, ყოველი ღონე მიიღოს და გადაახდევინოს ამხანაგობიდან გატანილი ფული იმათ, რომელთაც დროზე არ წარადგინეს. შემდეგ კრებამ განიხილა 1904 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ხარჯთ-აღრიცხვამ დიდი კამათი გამოიწვია; ზოგს სურდა მოსამსახურე პირთათვის ჯამაგირი შემცირებინა, ზოგს კი არა. ბოლოს კრებამ მცირედის ცვლილებით ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცა. კრებამ ერთხმად დიდი მადლობა უძღვნა ე. ქუთათელაძეს ხანგრძლივ სამსახურისათვის და იმის ნაცვლად აარჩია ამხანაგობის თავმჯდომარე ადგილობრივი ექიმი პ. კიკალიშვილი. გამგეობის წევრმა ი. ბალანჩივაძემაც თავის სურვილით დაანება თავი სამსახურს. კრებამ ამასაც მადლობა გამოუცხადა და იმის ნაცვლად აარჩია ივანე ქუთათელაძე. დასასრულ, კრებამ განიხილა თხოვნა ერთის ქვრივისა, რომელიც სთხოვდა ამხანაგობას, ეპატიებინა ამხანაგობიდან გატანილი ფული 100 მანეთი, რადგან შვილის სიკვდილმა სიღატაკეში ჩააგდოო. კრებამ შეიწყნარა ქვრივის თხოვნა. შემდეგ კრებამ, თავად ა. ფაღავას წინადადებით, გადასდო დაჭრილ მეომართა სასარგებლოდ 30 მანეთი.

ი. ბახტაძე

სოფ. გამოჩინებული (იმერეთი). ამას წინად აქ წმ. გიორგის ეკკლესია გატეხეს. ბოროტ-განმზრახველთ ჩრდილოეთის მხრივ კარები გაუტეხიათ და რაზა აუმტვრევიათ მაგარ რკინის იარაღით, შიგ რომ შესულან, ხატები ძირს გადმოუყრიათ და თუ რამე ძვირფასი იყო, წაუღიათ.

თრიალეთი. წლეულს ჩვენში ზამთარი გაცილებით თბილი და მშვიდობიანი იყო. ხალხი კი გაზაფხულს მოელოდა და ამიტომ გულ-მოდგინეთ შეუდგა მზადებას გაზაფხულის სამუშაოდ. გავიდა ზამთარი, დაიწყო გაზაფხული და თან გადაუღებელი წვიმები მოჰყვა. ჯერ ამაზედ ცუდ გაზაფხულს არავინ მოსწრებია ჩვენშია წინა წლებში აპრილის პირველ კვირაში ყველა თესლეული დათესილი ყოფილა, წლეულს კი აგერ მაისია და ჯერ არც კი დაუწყიათ თესვა. ხალხი მომავალს წელს შიმშილს მოელის, რადგან აქ გაზაფხულზედ უფრო ბევრს სთესვენ, ვიდრე შემოდგომაზედ. მომავალს ვინ იჩივლებდა, რომ ეხლავე შიმშილით არა [illegible]. რაც რამ ჰქონდათ, სულ საქონლის საკვებს გადააგეს და თითონ მშივრები რჩებიან. წასულ წლებში აპრილის პირველიდან საქონელი ფეხ ქვეშ ბალახით კვებულა, წლეულს კი ისევ ბოსლებში აბიან და შიმშილისაგან ბღავიან. ისე გაძვირდა საქონლის საკვები, რომ თივა ფუთი ათშაურად იყიდება და პატარა ურემი ბზე ხუთ-ექვს მანეთად იყიდება. ჯანი გავარდეს სიძვირეს, რომ იშოვებოდეს საკვები. ამ ბოლო დროს, კიდეც რომ იშოვოს კაცმა საქონლისთვის საჭმელი, უგზოობით ვერ მიუტანია შინ. აქ, როგორც მთა ადგილს, ბევრი გზა ხევის პირ-პირ მიდის. ხევის პირად ბევრგან მიწა მოზვავდა და შეიკრა გზა. 28 აპრილს ორუზმანელს თათარს ბარონ კუჩენბახის ყველის ქარხნიდან ფურგუნით მიჰქონდა ტფილისში ჰოლანდიურ ყველის კვერეულები. როდესაც ფურგუნით მდინარე მოშევანს გადადიოდა, უცბად მოაწყდა მთიდან წყალი, გადაუბრუნა ფურგუნი, დაურჩო ოთხი ცხენი და წაიღო ხუთი კვერეული ყველი, 300 მ. ღირებული. თითონ, როგორც იყო, გადარჩა. ამას წინად კუჩენბახის მამულში მალაკნების ფარეხს ცეცხლი წაეკიდა, დაიწვა ფარეხი, სამოცი ცხვარი, ორმოც ურმამდის თივა, ორმოცდა ათი ფუთი ფქვილი, ორი ფურგუნი, ორი ცხენი, რვა მეცხვარული ტყავი შიგ შენახული რვა თუმნით და სხვა

გოროვნელი.

ადლერი (აფხაზეთი). ადლერი მდებარეობს ზღვის პირად. აქ ზღვას ერთვის მდინარე მზიმთა, რომელიც ზაფხულობით ხშირად ადიდდება ხოლმე. უხიდობის გამო მიმოსვლა გასაჭირია. ხიდი ზღვიდან ხუთის ვერსის მანძილზეა მოშორებული, ამიტომ მცხოვრებნი და მგზავრნი პირდაპირ მდინარეში გადიან. 26 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე, ადლერში გადიოდა აბაზის მცხოვრები იასონ ჩაჩავა თავის ორის დროგით, რომელიც წყალმა მოიტაცა და ჩაიტანა ზღვაში. ადგილობრივი მეფილუკეები მალე მიეშველნენ, მაგრამ მხოლოთ ერთი ცხენი გადაარჩინეს, თვით ჩაჩავას კი ველარ მიუსწრეს და დაიხრჩო. ამისთანა ამბავი აქ ხშირია. წელიწადში 10—15 კაცს იმსხვერპლებს ხოლმე ეს მდინარე. **ივანე ხვიჩია**

ს. ხორში (სამეგრელო). კიდევ უნდა ვთქვა ორიოდე სიტყვა აქაური სკოლაზე. რუსულთან ერთად ამ სკოლაში ქართულ წერა-კითხვასაც ასწავლიდნენ. საზოგადოება ძლიერ მადლობელი იყო და სწორედ ამიტომ შეუდგა ძველ შენობის გადაკეთებას, მაგრამ აგერ ოთხი თვეა, რაც დაუხურავი შენობა მინდვრად ლპება: თავი დაუნებებიათ, რადგან გაუგიათ, რომ ქართული ენა აქედანაც იდევნებაო. ყველანი ამას გაიძახიან „დალპეს, აღარ გვინდა, თუ შიგ მართლა ქართული სწავლა აღარ იქნებაო“/ მოსწავლენი აღდგომამდე დაქირავებულ სახლში იმყოფებოდნენ, ხოლო მას აქეთ, რადგან სახლს ვადა გაუთავდა და პატრონს თითონ დასჭირდა, ხელ-ახლად აღარ დაუთმო, მოწაფეები გამოსულან ველად, ცის ქვეშ, დაჩრდილულს მწვანეზე, ხეებს შუა, და დაუწყიათ სწავლა. დილის რვასაათზე 80 ვაჟი და ქალი მასწავლებლის მეთაურობით მიეშურებიან დანიშნულ ადგილას (თუ ქარია, ტყეში და თუ სიწყნარე—მთაში). წინ კლასის დაფამიაქვთ ხოლმე. აგერ 20 დღე იქნება წვიმაც არა ყოფილა იმათ ბედზე. ქურდობა აქ თუმცა პირველი გაგონება არ არის, მაგრამ ამ წელს მაინც ძალიან გახშირდა. აღარ შეგვარჩინეს არც ცხენი, არც კამეჩი და არც ხარები. მღვდელს ს. გვასალიას ერთ ღამეს სამი ცხენი ერთად მოჰპარეს, მოჰპარეს გ. კულუას და ე. შუღულაიას ცხენები, სამხონ აბაკელიას ორი ხარი და სხვა. რავქნათ არ ვიცით. უგზოობით ხომ სულ-შეწუხებულნი ვართ.

ხორშელი

სოფელ დიდი-თონეთი (ტფილისის მაზრა). უამინდობის გამო ძლიერ შეწუხებულია აქაური გლეხობა. აქ საზოგადოდ დიდი ზამთარი იცის. თოვლი, ყინვა, ქარ-ბუქი, მაგრამ ამ წლი ზამთარს ვერ დავემდურებით, რადგან ჩვეულებრივი ქარები ჰქროდა და ისე არა ციოდა, როგორც სხვა წლებში. სამაგიეროდ დადგა თუ არა მარტი, მოიტანა პინკულიანი დღეები: წვიმა, სეტყვა, თოვლ-ჭყაპი, ქარიშხალი.

-ში („სან-ჟან“-ის მაღაროს თავს შემოსავალი [illegible]ს) იდგა მანქანა, რომლის მილით ჰაერს მაღაროში ჰგზავნიდნენ. რაც უფრო ღრმად მივდიოდით, გზა უფრო ფუჭდებოდა, მუხლებამდის ტალახში ვიფლობოდით, ორად მოხრილნი მივდიოდით, ოდნავღა ვსუნთქავდით და ფეხზე ძლივსღა ვიდექით. როგორც იყო მივაღწიეთ ისევ ძველებურს ასავალს და ათიოდე წუთის შემდეგ მეოთხე სართულში, „სან-პიერ“-ის მაღაროშა ავედით. ჩემი ამხანაგები პროტესტს აცხადებდნენ, სიარული აღარ შეგვიძლიან, ყიჩრჩობით და ჩქარა გარედ გავიდეთო. მე ვამშვიდებდი, ვარცხვენდი და ვაქეზებდი, თუმცა კი ჩქარა გარედ გასვლასა და მზის დანახვას ვნატრობდი. შტეიგერი წინანდებურად წინ მიგვიძღოდა, ჩაქუჩით კედლებსა და ჭერს აკაკუნებდა, ათას რამეს გვიხსნიდა, ჯოგვარს გვაჩვენებდა და გვეუბნებოდა, რომ დინამიტის აფეთქების დრო მოვა, გარედ გავიდეთო. ხან ერთ და ხან მეორე ხვრელიდან [illegible] იგივე ჩაქუჩის ცემა და მომუშავის ამოხნა[illegible] ისმოდა. ბევრ ადგილას თაღებს ასწორებდნენ, ბოძებს უდგავდნენ, ცარიელ ხვრელს, საიდანაც ჯოგვარი ამოეღოთ, უბრალო ქვებით ავსებდნენ, რომ ამის შემდეგ იმის გვერდით მეორე ხვრელი გაეთხარათ, ისიც ამოევსოთ, მერე მესამე დაეწყოთ და ამგვარად მთელი დედამიწის გული გამოეთხარათ, ჯოგვარი ამოეღოთ და დაცალიერებული ადგი გარედან შემოტანილ ქვებით ამოევსოთ. შტეიგერმა დაღლა შეგვამჩნია, გვამხნევებდა და იმედს გვაძლევდა: ჩვენ ზევით ორი მაღარო კიდევ არის, შემდეგ კი გარედ გავალთო. მეხუთე, „სან-ლიუსიენ“-ის მაღაროებში ავედით და ნახევარ საათის ტორტმანისა და ფოფხვის შემდეგ უკანასკნელს, „სან-ალექსანდრ“-ის მაღაროში გავჩნდით. დურგლებს, რომელნიც თაღებს ამაგრებდნენ, იარაღი მხარზე გაედოთ და შინ მიდიოდნენ. უბრალო კლდის მსხვრეველ მუშებსაც მუშაობა გაეთავებინათ და შინ წასასვლელად ემზადებოდნენ. მთელს მაღაროში ხმაურობა და ტალახში ტყაპა-ტყუპი ასტყდა. აქა-იქ ჭრაქები ანათებდნენ, ხვრელებში იმალებოდნენ, ქრებოდნენ, შემდეგ ათ-ოციოდე საჟენის მანძილზე ისევ ჩნდებოდნენ და ბოლოს ჯურღმულში იკარგებოდნენ. შევედით ერთ ხვრელში, სადაც მხოლოდ უფროსი მუშა, „რაიდჩიკ“-ი და იმის თანაშემწე დარჩენილიყვნენ. აქა-აქ თითქოს ბურღით ჩახვრეტილ კლდეებში დინამიტს აწყობდნენ, ამაგრებდნენ და საცაა ფითილისთვის ცეცხლი უნდა წაეკიდნათ და აეფეთქებინათ. შტეიგერმა საათს დახედა და ანიშნა. უცებ ქვევითა სართულში, ჩვენ ფეხებ ქვეშ საშინელი გრიალი მოისმა, იმას მოჰყვა მეორე, მესამე, მეათე. გვეგონა, ზარბაზნებს თუ ისვრიანო. კედლებს ზანზარი გაჰქონდა, ჩვენ კი შტეიგერის წინამძღოლობით გარეთ მოვეშურებოდით· ხა-ბარ-და-ა-ა!—მოგვესმა უკანიდან. ხა-ბარ-და-ა-ა! განიმეორა მეორემ, მესამემ, მეხუთემ. ყველანი მორბოდნენ, ერთმანეთს უსწრობდნენ, „ხაბარდას“ ყვიროდნენ და სიბნელეში მხოლოდ მხტუნავი და მოციმციმე ჭრაქებიღა მოსჩანდა. უკან, სადაც ქვესკნელში ჯერ ერთმა დინამიტმა დაიჭექა, მერე მეორემ, მერე ორმა, სამმა ერთად და ყოველივე აირ-დაირია, გვეგონა, ყველაფერი დაინგრა, დაიღუპა და აირიაო. შორს, ჩვენ წინ წითელი და უმოძრაო ბურთი გამოჩნდა. რამდენადაც ვუახლოვდებოდით, ეს ბურთი იმდენად უფრო-და-უფრო დიდდებოდა. ვუყურებდით და გვიკვირდა: იმოდენა ჭრაქი შეუძლებელი იყო, არც ანთებული ცეცხლი იქნებოდა, რადგან უმოძრაო იყო. ბოლოს აღმოჩნდა, რომ მოწმენდილი, მოკრიალებული და მზით განათებული ცა ჩვენ, სიბნელესა და წყვდიადს შეჩვეულთ ცეცხლივით წითელ ბურთად გვეჩვენა. ჰაერი გაიწმინდა, თავისუფლად, სიამოვნებით ვსუნთქავდით და როცა გარედ გავჩნდით, ძლიერ და მთელის გულით ამოვისუნთქეთ. შიგ შუა სოფელში, ალავერდში გამოვედით. ოციოდე საჟენი გავიარეთ და ის კოლონია და ქარხანა, სადაც დილას ვიყავით და „სან-ელდიან“-ის მაღაროს კარები, რომელშიაც შევედით, ქვევით, მთის ძირი იყო. 130 საჟენი სიმაღლე დედა მიწის გულით, საშინელ ხვრელით ამოვიარეთ.

თავისუფალი მონა.

(დასასრული იქნება)

აპრილმა უფრო შეაწუხა სული და გული. 4—5 აპრილს მოვიდა დიდი თოვლი და ყინვა; ეხლაც ისე ცივა და ყოველ დღე წვიმს, რომ უცეცხლობა შეუძლებელია. ოთხ-ფეხი საქონელი ძლიერ შეწუხებულია უამინდობის გამო. ეს ერთი კვირაა, რაც საქონელი ნახირში გარეკეს, მაგრამ ბალახი-კი საკმარისად არ არის ამოსული. ძლიერ გაძვირდა ყველაფერი: თითქმის გაზაფხული გადის და ჯერეთ კარაქი და ყველი თვალით არ გვინახავს. წარსულ წლებში კარაქი და ყველი მრავლად და იაფადაც იშოვებოდა. აქაურ გლეხებს ცხვრებიც ჰყავთ ხოლმე, მაგრამ ძლიერ ბევრი დაეხოცათ უამინდობისა და უსაკვებობის გამო. სააღდგომოდ ბატკანი ძალიან ძვირად იყიდებოდა, სამი მანეთიდან წელს ხუთ მანეთად აფასებდნენ. წარსულ შემოდგომაზედ გიორგობისთვეში აქ საქონლის ჭირი გავრცელდა და დიდი ზარალი ნახა სოფელმა; მთავრობისაგან გამოგზავნილმა ბეითლებმა დიდი დახმარება აღმოუჩინეს, საქონელს აუცრეს და ჭირი მალე მოისპო, მაგრამ რაც ჭირს გადაურჩა, ციმბირის სენმა იმსხვერპლა. დახოცილ საქონლის ფასი ჯერ არ გამოსულიათ და დიდად არიან შეწუხებულნი ისეც დაჩაგრული გლეხები. ეხლა მაზრის უფროსს სთხოვეს დახმარება, რომ ჭირით დახოცილ საქონლის ფასი მალე მიეცეთ და ამით ცოტათი მაინც ხელი გაიმართონ. აქ ხშირად არა ჰხდება ხოლმე ქურდობა, როგორც სხვაგან, მაგრამ ხან-და-ხან აქაც ჩნდებიან ხელ-უკუღმართი ადამიანები... ამ ზამთარს აქ ამოთხარეს მიწიდან ჭირისაგან დახოცილი საქონელი და გააძვრეს ტყავები. მოხელეებმა აღმოაჩინეს ქურდები და წაართვეს ტყავები, მაგრამ ტყავები კანცელარიიდან ისევ მოიპარეს. ამ ორის კვირის წინად აქაური მცხოვრები ახალგაზრდა გლეხი, გეურქ სარდლიშვილი წასულა წვერის წმინდა გიორგის ეკკლესიაში სალოცავად. იქ ავიდა სამრეკლოზედ, გადმოვარდა უცაბედად, გადაიჩეხა მაღალ კლდეზე და დაიმტვრა. 16 აპრილს, მანგლისის გზაზე ნახეს ჩამომხრჩვალი 22 წლის ყმაწვილი კაცი, სერგო ლაშქაროვი. მიზეზი თავის ჩამოხრჩობისა საიდუმლოთია მოცული. აქაური გლეხები თუ ვინმე ავად გაუხდებათ, მაშინვე მკითხავს მიჰმართავენ ხოლმე. ექიმთან მაშინ წავლენ ხოლმე, ისიც შეგნებულ კაცების რჩევით, თუ მკითხავმა არა უშველა-რა. ცოტა-ცოტათი მიეჩვივნენ აქაურები ექიმების რჩევასა და წამლობას.

მეგრელი თონეთში.

ბათუმი (თავ. იასონ აბაშიძის მოკვლა). 8 მაისს ართვინიდან დეპეშამ ამბავი მოგვიტანა ართვინის ნაწილის უფროსის თავ. იასონ აბაშიძის მოკვლის შესახებ. დღეს ართვინიდან მოსულმა მგზავრმა მიამბო: შვიდ მაისს, საღამოს ათ საათზე, თავ. აბაშიძე ათის ჩაფრით წავიდა სოფ. სვეტიბარში ყაჩაღის ხეჩიროღლის დასაჭერად, რომელიც იმალებოდა ზემოხსენებულ სოფელში. ყაჩაღმა შორიდანვე შეამჩნია, რომ თავ. აბაშიძე ჩაფრებით სწორედ ჩემს დასაჭერად მოდისო, მაშინვე ბერდანის თოფით გამოვიდა სახლიდან და დააპირა გაქცევა. ეს შეამჩნიეს თავ. აბაშიძემ და ჩაფრებმა და გამოუდგნენ. ყაჩაღი ჩაეშვა ხევში და დაიმალა. საღამოს ათის საათიდან დაწყებული მეორე დილის ოთხ საათამდე ეძებეს და რომ ინათლა, იპოვნეს, შემოერტყნენ გარშემო და უპირებდნენ ცოცხლად დაჭერას. ყაჩაღი ამოეფარა კლდეს, გაისროლა თოფი, რომლის ტყვია მოჰხვდა შუბლში თავ. აბაშიძეს და ცხენიდან გადმოვარდა. ყაჩაღმა გაქცევა ვერ მოასწრო. ცოცხლად რომ არ ჩავარდნოდა ჩაფრებს, თავისვე ხელით თავი მოიკლა. გაიგეს ეს ამბავი თუ არა, ართვინიდან წავიდნენ ოლქის უფროსი, ბოქაული, ექიმი და სხვანი. თავადის გვამი მოიტანეს ართვინში. თავ. იასონ აბაშიძე დიდი ხანია ართვინის ნაწილის უფროსად იყო; წარსულ წელს ოლქის უმფროსის თანამდებობასაც ასრულებდა.

ბ. ლალიაშვილი

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 მაისი.

ტოკიო („რეიტ. სააგ."). ახალ მოხსენებაში მოყვანილია დამატებითი ცნობები იმ შეტაკების შესახებ, რომელიც მოხდა 7 მაისს დაგუშანიდან ჩრდილოეთით, 7 მილის მანძილზე. იმიერ ბაიკალის ბრიგადის ყაზახთა რაზმმა გულადი წინააღმდეგობა გაუწია იაპონელებს და უკან დაიწია შემდეგის ზარალით: იაპონელებმა მოჰკლეს 1 აფიცერი და 9 სალდათი და დაატყვევეს ერთი დაჭრილი აფიცერი და 4 სალდათი.

ტოკიო. („რეიტ. სააგ."). საერთო რიცხვი ჯავშნიან გემ „ხატცუსე"-ზე და კრეისერ „იოშინო"-ზე დაღუპულ აფიცრებისა და მატროსების 900-ა.

კობე. („რეიტ. სააგ."). „დეილი მეილის" კორესპონდენტი იუწყება: შუაგულ მანჯურიაში გავემგზავრე; მცხოვრებთა უმრავლესობა გაიქცა. მანჯურიაში მცხოვრები ჩინელები რუსებს თანაუგრძნობენ. მებრძოლნი, როგორც რუსები, აგრეთვე იაპონელები, საკვირველის პატივისცემით ეპყრობიან ადგილობრივ მკვიდრთა და მათ ქონებას.

ლონდონი. („რეიტერ. სააგ."). „ტაიმსის" კორესპონდენტი დეპეშით იუწყება 9 მაისს, რომ გენერალ ოკუს არმიას, რომელმაც პორტ-არტური უნდა აიღოს, მედგარ წინააღმდეგობას უწევენ რუსები. ცხადია, რომ რუსთა მეციხოვნე ჯარს გადაწყვეტილი აქვს ხანგრძლივი წინააღმდეგობა გაუწიოს მტერს. შესაძლებელია, რომ დაზიანებულ გემების ზარბაზნები ზღვის პირთან ამართულ ბატარეიებზე დადგეს. ამ ბატარეიებმა უნდა დაიცვან ძინჩეოუ და იმავე დროს დაიცავენ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრით დალნი, რომელიც ჯერ-ჯერობით არ დაუჭერიათ იაპონელებს. თუ რუსები მათგან ამართულ მტრის მოსაგერებელ მოწყობილებას გამოიყენებენ, პორტ-არტურის აღება მძიმე მსხვერპლს მოითხოვს.

9 მაისი.

პონევეჟი. გაიხსნა ადმინისტრაციის დასწრებით საქონლის მოშენების გამოფენა.

ირკუტსკი. არქიეპისკოპოსისა და გენერალ-გუბერნატორის თანდასწრებით ჩაყარეს საძირკველი ტრაპეზნიკოვისაგან დაარსებულ სახელოსნოს უმთავრეს შენობისა. შენობისათვის გადადებულია 400 ათასი მანეთი. მოწაფეების რიცხვი 100 იქნება.

კამიშლოვი. დაიწყო დასავლეთ ციმბირის მდინარეებზე მიმოსვლა. მდინარეები ძრიელ არ ადიდებულან. გემებს მესაკუთრეები მცირეწყლობას სჩივიან, რომელიც ამ მოკლე ხანში შეაფერხებს მდინარეებზე წესიერ მიმოსვლას.

პარიზი. გამოწვეულია საფრანგეთის ელჩი ვატიკანში ნიზარი. საელჩოს მრჩეველს მიანდვეს საელჩოს გამგეობა. ელჩი რომიდან 9 მაისს წავა.

ვენა. სადამოჟნო კონფერენციამ დაასრულა ბჭობა გერმანიის სადამოჟნო შეთანხმების შესახებ. ავსტრ-ჰუნგრეთის დელეგატები მომავალ კვირაში მოვლენ ბერლინს.

10 მაისი

სტამბოლი. აუდენციაზე, რომელიც რუსების ელჩს ზინოვიევს წუხელის ჰქონდა სულთანთან, ელჩმა აღნიშნა მაკედონიაში რეფორმების სრული განხორციელების საჭიროება.

სოფია. (ოპოზიციის. წრეები). 10 მაისს იდღესასწაულებენ 25 წლის იუბილეეს ბოლგარელებისაგან პირველად ათეცრის ხარისხის მიღებისას. ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ რუმინიის სინოდმა მოიწონა გენნადის უკანასკნელი მოქმედება და გადასწყვიტა სთხოვოს პატრიარქს, რათა მან დააკმაყოფილოს სამშობლო ენაზე სწავლის მსურველნი—სტამბოლიდან იუწყებიან, რომ პატრიარქმა გაუგზავნა ცირკულიარი ბერძენ მიტროპოლიტებს მაკედონიაში და ეპირში, რომელშიაც აღნიშნა, კუცოვლახთა პროპაგანდისტებთან შეტაკებას მოერიდეთო. პორტამ აცნობა ბოლგარიის სააგენტოს სტამბოლში, განკარგულება მოვახდინეთ, რათა მოხელეებმა უოველნაირად ხელი შეუწყონ იმ გაქცეულთ, რომელნი სამშობლოში ბრუნდებიანო. უკვე 2 ათასი გაქცეულიც დაბრუნდა მაკედონიასა და ადრიანოპოლის ვილაიეტში.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

მარგანეცის მრეწველთა საბჭო

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1904 წლის 18 მაისს, შუადღის 12 საათზე, საბჭოს სადგომში ქუთაისს მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლითაც **გაიცემა იჯარით:** 1) ჭიათურაში საავადმყოფოს შენობის ქვის სამუშაო და კედლების გალესვა, 3646 მანათისა და 80 კაპ.; 2) იმავე შენობის სადურგლო და სახურაო სამუშაო, 7900 მანათისა და 3) ატამნარ-ქალების გზის შეკეთება მარგანეცის სამრეწველო რაიონში, 2117 მანათისა.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, ვალდებულია წარადგინოს საბჭოს კასსაში ვაჭრობის დაწყებამდე ბე სამუშაოთა ღირებულობის 5% ნაღდ ფულად ან მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ სარგებლიანის ქაღალდებით. ვაჭრობის შედეგი საბჭომ უნდა დაამტკიცოს. ბე დაუბრუნდება მოიჯარადრეს სამუშაოს ჩაბარების 6 თვის შემდეგ. (ნ. 2—1)

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად წიგნის ყველა მაღაზიას ახალი წიგნი

„მელიას თავგადასავალი"

საყმაწვილო ზღაპარი გადმოკ. ალ. ნათაძის [illegible]

ფასი 25 კაპ.

საწყობი „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში. იქვე იყიდება „ჩვენს დედებს" ამავე ავტორის პედაგ. წერილები. (5—უ—4)

ქუთაისში

ი. „გოკიელოვის შვილები"-ს

სავაჭრო სახლში იყიდება საუკეთესო ღირსების.
შაბიამანი ნამდვილ ინგლისური
გოგირდის ყვავილი „სუბლემა"
მანქანა ვენახის სარწყავი „ვერმორელი"
მანქანები გოგირდის საბერავი.
რაფია ვენახის საკონავი.
აგრეთვე ვერმორელის მანქანის ყველა ნაწილები ცალ-ცალკე. ([illegible]—142—8)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, [illegible] ბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

სასტუმრო **იალტა** ნომრებით

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქროს მჭედლების ქ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 50 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 კ. სადილი **სამი** თავით, ჭიქა არაყით, ½-ბოთ. ღვინით და ფინჯანი ყავით 75 კ. ღვინო ბოთლი 30 კ. და ძვირფასიც. თვიურათ იაფათ და ეძლევათ აბონიმენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—52—25)

ეძებს ალაგს

წინამძღვარიანთ-კარის სკოლაში კურს დამთავრებული მებაღის, მევენახის და ღვინის დამყენებლისას. მე-9 ნაწ. კრასნოგორსკის ქუჩა, სახლი პორფიროვისა, № 5. (4—198—1)



СѢДЕЛЬН... СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

Продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სოპრანიის ახლოს. (წ.—176—14)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამა წლის 22 აპრილიდან ვნიშნავ უკანასკნელ გაყიდვას, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

(60—189—7) პატივისცემით ბ. გ. ბერიევი.

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО СОПМ С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ჭყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ"-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—5—22)

ელექტრონის სტამბა, წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ის.). (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.)